

სახალხო გაზეთი




სურათებიანი დამატება

გაზეთის № 308.

კვირა, 22 მაისი 1911 წ.

დამატების № 54



სომეხთა მწერალი და დრამატურგი შირვან-ზადე
(ალექსანდრე მოვსესიანი)
დღევანდელ იუბილეს გამო.

მოქმედება ჰიროველი

ქველს მოსათავსებელ თაღის მსკიფი ილია ჭავჭავაძის საფ-
ლაგზე მამადავითში,—შედგენილი მოქანდაქე იაკ. ნიკოლაძის მიერ,
რომელიც ნიკოლაძის ვარაუდით 4 ათასი მანეთი დაჯდება.

მეგობრობა

(დრამა 4 მოქმედებად)

მომხმედნი პირნი:

- არჩილ ლომაური, 40 წ.
- თამარ, მისი უკანონო ცალი, 35 წ.
- სანდრა ქავთარაძე, აფიცერი, 35 წ.
- აფიცერი, სანდრას ამხანაგი, 30 წ.
- ვიქტორ კახიძე, 35 წ.
- სარდიონ უბადრულიძე, ინჟინერი, 38 წ.
- კატო, არჩილის ცალი (გაყრილი), 35 წ.
- ელიკო, არჩილის ქალი, 15 წ.
- კოტე გობიჩიძე, ექიმი, 42 წ.
- ექვთიმე ტყავაძე, ჩათლახა კაცი, 50 წ.
- ლიზა ექვთიმეს ცალი, 30 წ.
- ბაღდიძე, კატოს სახლის პატრონი, 50 წ.
- საშა
- მაშა
- მსახური

როსკიპი ქალები.

ოთახი არჩილ ლომაურის სადგომში. საწერი მაგიდა, სკამები.
ყველაფერს ხელ-მოკლეობის ნიშანი ადევს.

(ანჩილი სწებს. ცოტა ხანს უკან შემოდის თამარ: და-
დილობა გტუობა, მაგრამ თავს ძაღს ატანს, რომ ანჩილს
მზიარუდად ეჩვენოს. ხელში გაზეთი უჭირავს).

თამარ. შენ ისევე სწერი, არჩილ?!

არჩილ. გავათავე, გავათავე!.. (წამოაგება და თამარს
მიუაღებს) შენც დალილხარ, თამარიკო!..

თამარ. სრულებითაც არა, ჩემო კარგო!.. (მიუკრძობს
გულზე).

არჩილ. (აღესით). სიყვარულმა ტყუილსაც შეგაჩვია?..
(ხუმრობის კილოთა). არ გენატრება, თამარიკო, წარსული,
უზრუნველი ცხოვრება?..

თამარ. (პირზე ხელს აფარებს). გრცხვენოდეს!.. როდემ-
საც ჩემს ქმარს და ფუფუნებას თავს ვანებებდი, ვიცოდი,
რაც მომელოდა!.. მე ხომ თექვსმეტი წლის ბავშვა არ
ვიყავ!..

არჩილ. მართალია, თამარიკო, მაგრამ დიდი ძალა აქვს
აღზღას, ჩვეულებას!.. ოთახის მცენარე სუსხიან ჰავაზე
ვერ გასძლებს!..

თამარ. (აღესით). ჩემი ცხოვრების სუსხს შენი სიყვა-
რული ათბობს!..

არჩილ. (ხაუჭკებულო). სიყვარული... ჰო... სიყვარუ-
ლი... ეგრე, ეგრე, ჩემო კარგო!.. (დამიღობ). ნათქვამი

როა: ქალი შესდგება ხორცისგან, სულისგან და ტანისამოსისგანაო!.. გახსოვს, თამარო, წინანდელი შენი კეკლუცობა, კაბები, სამკაულები?!.. რა შურის თვალით გიყურებდნენ მაშინ ქალები!.. (ხუმრავით). აბა ეხლა შეშხედ შენს თავს: რალაცა ძონძებში და ქუსლ-მოღრეცილ ფეხსაცმელში!.. (აღესით). მართალია, შენი ბუნებრივი სიკეკლუცი არც ამ ძონძებში იკარგება, მაგრამ ..

თამარ. არჩილ, შენ ცუდ გუნებაზედა ხარ ღღეს!.. მოდი, მომეხვიე, მომიადერსე და მაგ უბრალო ლაპარაკს თავი დაანებე!..

არჩილ. ეგრე, ეგრე, ჩემო ნუგეშო!.. (აღესით ხელს მკვსვევს და შერე ჩაფიქრებული გაიჭდის). მაგრამ ეს არც ისეთი უბრალო ლაპარაკია!.. აი, თუნდ ეს შენი სირბილი გაკვეთილებზე ორიოდ მანეთის საშოვნელად!.. (დაცინვით). „შრომა ცხოვრების მიზანია!..“ ხა-ხა-ხა... არა, თამრიკო, ეს უილაჯობის ბაირალია!.. მეტი რომ არა გაეწყობა-რა, აღამიანი ამით გულს იკეთებს, თვალებს იხვევს, თავისდავე მონობას ეთაყვანება!..

თამარ. (ჩაფიქრებული). იცი, არჩილ... მე ეხლა ის-იცი არ მიძიძის, რომ ძალაუნებურად ვშრომობ, არამედ ის, რომ შენ... ეგ აზრები გიტრიალებს თავში!.. მაგისთანა ფიქრები მაშინ მოტივტივებს ხოლმე შეგნების ზურგზე, როცა კაცს სინანული შეეზარება!..

არჩილ. არა, ჩემო კარგო, არა!.. რაც გინდ გაქირვება დამადგეს, არ დავანებ ჩვენს შეერთებას... მე მხოლოდ მიძიძის, რომ, რადგანაც ჩემს განშორებულ ცოლ-შვილს ნივთიერად ხელს ვუმართავ, შენთვის აღარ ძალმიძს იმ კმაყოფილების მონიჭება, რომელსაც ჩემი სიყვარული მავალებს!..

თამარ. (გრძნობით) ერთი მაგითანა სიყვარული მაგიწყებს ყველა გაქირვებას, ჩემო, კარგო, ჩემო ძვირფასო!..

არჩილ. ჰო, ჰო, ჩემო საყვარელო... გამაგრდი!.. (გა'ხეთს იდეებს). აბა, რა არის ქვეყნიერებაზე ახალი!..

თამარ. მეც ცოტა დასაჯღანებელი მაქვს!.. (გადას შერე ათასში).

არჩილ. (გა'ხეთს ათვალიერებს). აჰა!.. (აღეჭება დაეწყება; მწარედ ჩაფიქრდება).



ს. გურჯაანის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგენი.
(იხილე სახალხო გაზეთი № 297)

თამარ. შენ რომ ერთ ღღესაც ვერ გაგიძლია უსაქმოდ!..

არჩილ. მერე?!
თამარ. სჩანს,—შრომა აღამიანისავე ბუნების მოთხოვნილება ყოფილა!

არჩილ. ჰო, თამრიკო, ჩვენი ხორციელ-სულიერი ძალთა ნაღული მოითხოვს გასავალ კარს,—მოძრაობას, მოქმედებას!.. ამ რიგად შრომა აუცილებელია, როგორც შინაგან ძალთა დონეზე დამყენებელი!.. მაგრამ, როცა შრომა,—შრომა ცხოვრების გაქირვებით გამოწვეული, ჩვენს ბუნებრივ მოთხოვნილებას აღემატება,—ეს შრომა ძალდატანება... დაცინვა!.. ნუ თუ შენი ბუნება მოითხოვს,—სტოპო ამ ტალახში, სიცივეში!.. ნუ თუ ეს კმაყოფილებასა გვევრის?!..

თამარ. სწორედ კმაყოფილებას!..

არჩილ. მხოლოდ იმისთვის, რომ მე მშველი!

თამარ. სწორედ!..

არჩილ. რომ საქირო არ იყოს ეგ შეველა? ნუ თუ სხვა რამე საქმეს ვერ იშოვნის, უფრო სასიამოვნოს და, იქნება, უფრო სასარგებლოსაც?!

თამარ. შეიძლება...
არჩილ. მაშასადამე, ეს შენი შრომა გაქირვების გამოგონილი ყოფილა და არც სასურველ-სათაყვანებელი!..

(შემოდის თამარ საკურავით; ჯდება).

თამარ. (არჩილს უყურებს). რამ ჩავაფიქრა ეგრე?.. უსიამოვნო რამ ამოიკითხე?..

არჩილ. არა... არაფერი...
(შემოდის ვიქტორ კახიძე).

ვიქტორ. ეე... ბოდიშს ვიხდი!.. (ხელს აჩოქებს). კენინას ღღეს ღიღი წვეულობა აქვს და თქვენცა გთხოვთ, არჩილ...
არჩილ. მე?!..

ვიქტორ. დიხ, თქვენ... ძალიან გვასიამოვნებთო...
არჩილ. გადავციტ ბრწყინვალე კენინას, რომ მე სახლში მყავს საყვარელი მეგობარი, რომელსაც მარტოსა ვტოვებ მხოლოდ საქმის გულისთვის... თამარს ხომ არ ეპატიოება!..

ვიქტორ. ეე... რა მოგახსენოთ... ჩემთვის არ უთქვამს... იქნება დაავიწყდა!..

არჩილ. ვისაც ჩემი ძვირფასი თამარი ავიწყდება, იმას არც ჩემი ხსოვნის ნება აქვს!.. გთხოვთ გადასცეთ სიტყვა-სიტყვით... თუ სიმამაცე არ შეგწევთ, მე თათონ მივწერ...
ვიქტორ. რა საქირა... თუმცა ეე... ნახვამდის!.. (გადას).

არჩილ. (აღეჭებული დადას). მასხარა ჯამბაზები!..

თამარ. ნუ ღელავ, ჩემო არჩილ... მე თითქმის შეგე-
ჩვე ამგვარ შეურაცყოფას!..

არჩილ. როგორ არ ავლელდე, ჩემო კარგო! მთელი
ეს კანონიერი, გარყვნილებაში გაქლესილი ცოლების ბრბო
შენს ერთ ფრჩხილად არა ღირს და შენს „უწმინდურობას“
კი ერიდება!.. ბრახ-მოსასვლელი ის არის, რომ მათი ლაყე
ტვინი თითქმის დარწმუნებულია თავის უბიწობაში!..

თამარ. ქვეყნიერებას უცებ ვერ გაასწორებ, ჩემო
არჩილ!.. (ზაჟუზა). ეს არაფერი, მაგრამ ბოროტი ქავთარა-
ძის თავხედობა ყოველ საზღვარს გადადის!.. ისე არ შემ-
ხედება, რომ... ერთი სიტყვით, თუ კაცს სრულებით არა
აქვს დაკარგული სინდისი, ქუჩის გოგოს უფრო მეტის
მოკრძალებით მოექცევა, ვიდრე ის მე!.. კარში რომ გავდი-
ვარ, შიშით თავი მალა ვერ ამილია: სულ ისა მგონია,
რომ მას შევხვდები!.. წარსული სილა ვერ დაუვიწყნია და,
აბა, ეხლა რას მომერიდება: მე ხომ საყვარლის ადვილი
მიპირავს!..

არჩილ. იცი, თამრიკო, ერთ დროს სისხლის აღება
დაკანონებული იყო და ამან დიდი სამსახურიც გაუწია იმ
დროის საზოგადოებას!.. ეხლა კანონი სისხლის აღებას ისე-
ვე სჯის, როგორც ავაზაკურ მკვლელობას!.. კანონებმა

არჩილ. რას იზამ, ჩემო კარგო!.. ცხოვრების სარკე
პირახდილია... (გადის).

თამარ. (დაფიქრდება). არც ისეთი პირახდილი... (ზაჟუზა).
მართალი ხარ, ჩემო არჩილ: ძნელი ყოფილა უჩვევი აღა-
მიანისთვის ასეთი ძალ-დატანებითა შრომა!.. მეჯადრე ჩე-
მისთანა სუსტ; წარსული ცხოვრებით გარყვნილი ქალის-
თვის!.. რაც უფრო მკაფიოდა ვგრძნობ ჩემ სიყვარულს
არჩილისადმი, მით უფრო მრცხვენია, რომ ჩემი ფიქრების
ნახევარიც ვერ გამომხელია მისთვის!.. განა შესაძლებელია
სიყვარულში, მეგობრობაში მალულაობა? ღმერთო ჩემო,
არჩილმა რომ ჩემს გულში ჩამოიხელოს!.. (ზაზღაჟ). სუს-
ტო, გარყვნილო, თამარ!.. შენ აქამდისაც ვერ შეგიძლიან
უშუროდ შეჰხედო გამოპრანქულ ქალებს, რომლებიც უზ-
რუნველად დასრიალებენ ეტლებით!.. ასე მგონია, ქუჩაში
ყველა ჩემს დაძვლებულ ტანისამოსს აქცევს ყურადღებას...
დასცინის!.. მრცხვენია და თავი მეზიზღება ამ სირცხვი-
ლისთვის!.. ჩემისთანა გარყვნილ ქალებს, ე. ი. მომეტებულ
ნაწილს ურჩევნიათ კანონიერ საყვარლებად ყოფნა!.. ნამ-
დვილ სიყვარულს ჩვენ შეგვიძლიან შევწიროთ მხოლოდ
უთვალავი ცრემლი ჩვენი სისუსტისა!.. (ზაჟუზა). ძლიერია
ცხოვრება!.. (დაფიქრდება. უცებ წამოხტება). რა წაიკითხა



ს. გურჯაანის ბიბლიოთეკა-სამკითხველთა გამგენი და დამსწრე გლეხ-
კაცობა, კურთხევის დღეს, ბიბლიოთეკის ახალ შენობის წინ.

ცხოვრებას გაუსწრეს: მათ არ ძალუძოთ მრავალ შემთხვევა-
ში დაიფარონ ჩემი პირადობა, მეც ხელები მაქვს გაკრული
ამავე კანონებით, ის პირუტყვი-კი სარგებლობს და, კუთხეს
ამოფარებული, სილასა მტკიცეს სახეში!.. მოვკლა და... რა
რა პასუხი გაგცე ან შენ, ან იმ ორ აღამიანს! არა და—მაშ რა
ვიღონო!..

თამარ. დამშვიდდი, ჩემო არჩილ... მართლა,—დაგა-
ვიწყდა რედაქციაში წასვლა?..

არჩილ. ჰო, მიგვიანდება... (წასასვლელად ემზადება). თუ
სარდიონი მოვიდეს, გადაეცი, რომ მე მხოლოდ იმ შემ-
თხვევაში არ დავაბეჭდინებ რკინის გზის უფროსის საზიზ-
ღარ ქცევაზე, თუ მის გასამართლებლად ნამდვილ საბუთებს
წარმომიდგენს!..

თამარ. მგონი სარდიონის მეგობრობასა და პატიოს-
ნებას იმედი უნდა ჰქონდეს შენც ნდობისა!..

არჩილ. ჰო, თამრიკო, მაგრამ... მე და სარდიონი გიმ-
ნაზიის შემდეგ სრულებით დავშორდით ერთმანეთს: მე
უნივერსიტეტში შევედი, იმ საინჟინერო სასწავლებელში...
ჩვენი ნაცნობობა მხოლოდ ამ ბოლო დროს განახლდა და,
შეიძლება, ჩვენი მისდამი სიმპატია გადაქარბებულია მის
დენტიმენტურის ქცევით: სარდიონი ერთად-ერთი კაცია,
რომელსაც ფეხი არისტოკრატიულ საზოგადოებაში უღდა და
შენს „უკანონობას“—კი საჯაროდ ემეგობრება!..

თამარ. შენ ძალიან გაეტკიანდი, ჩემო არჩილ!..

წელან არჩილმა... (ათვალიერებს). აჰა!.. (კითხულობს). „სამუ-
სიკო სასწავლებელში ჩვეულებრივი საჯარო გამოცდა იყო.
განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სრულებით ახალგაზ-
და ქალმა ელიკო ლომაურმა, რომლის დაკვრამაც აღტა-
ცებაში მოიყვანა საზოგადოება. მშვენიერმა ცქრი-
ლა ბავშვმა მოხიბლა თვით მკაცრი კრიტიკოსებიც!.. მაგ-
რამ... ჩვენი უბედურება: ამბობენ, ხელ-მოკლეობის გამო
სწავლის გაგრძელება ვერ უხერხდებაო!.. ნუ თუ ნივთიერმა
ულონობამ უნდა იმსხვერპლოს ეს მარგალიტი?“ (დაფიქრ-
დება). საწყალი არჩილ!.. როგორ უნდა იტანჯებოდეს!..
ეს ნიკიერი ბავშვი ვადაადო ჩემი გულისთვის!.. (დაცინება).
ჩემი გულისთვის!.. ხა-ხა!.. (კარს აკაკუნებენ). ვინ არის?..

(შემოდის სარდიონი უხადრუდით).

თამარ. მობძანდით!

სარდიონ. თუ დრო არა გაქვთ, ნუ მომერიდებით!..

თამარ. სრულებითაც არა... დაბძანდით... არჩილსაც
უნდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ რედაქციაში უგვიანდებოდა...

სარდიონ. ვიცი... ბოდიში მაქვს მოსახდელი: სრულე-
ბით უსაბუთოდ ვესარჩლებოდი ჩვენს უფროსს,—მისი საქ-
ციელი მართლა რომ საზიზღარი გამოდგა.

თამარ. თქვენ-კი ისე დარწმუნებული იყავით!..

სარდიონ. წარმოიდგინეთ!.. იმ საწყალი მოხელის დათ-
ხოვნა გამოწვეულია მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მის ცოლს

სილა გაურტყავს ჩვენი უფროსისთვის, როცა ამ უკანას-
კნელს ქალის კოცნა განუზრახია!..

თამარ. ნუ თუ აქამდის ვერ იცანით თქვენი უფროსი?!..

სარდიონ. მოგეხსენებათ, ქ. თამარ, ცხოვრება მსოფ-
ლიო სცენაა და ამ სცენაზე მრავალი ნიჭიერი მსახიობი მო-
ვაწეობს.

თამარ. (ღიმილით). თქვენცა გაქვთ რამ როლი?

სარდიონ. მეც, თქვენც—ყველას!..

თამარ. (ასევე). თქვენ რა როლს ასრულებთ?

სარდიონ. ხა-ხა-ხა!.. რომ ვითხრათ, დაიჯერებთ?

თამარ. დიახ!

სარდიონ. შეიძლება შესცდეთ!..

თამარ. იცრუებთ?!..

სარდიონ. ამას სიცრუე არა ჰქვია... რასაც გმტ-
ყვით, ისიც ხომ ჩემი როლიდან იქნება!..

თამარ. განა არ შეგიძლიანთ ერთ წამს სცენას თავი
დანებოთ?

სარდიონ. მთელი ჩვენი დედა-მიწა სცენაა და, აბა, რა
ნიადაგზე შემიძლიანთ ვიგრძნოთ თავი არა მსახიობად!..

თამარ. მთვარეზე რომ გადასახლდეთ?

სარდიონ. მაშინ შეიძლება... რასაკვირველია, თუ უკან
დაბრუნებას არ დავაპირებ.

თამარ. განა მაგისთანა აუცილებელია როლის საი-
ღუმლოება?

სარდიონ. უიშველი, იარაღ აყრილი კაცი რომ ომის
შუა ცენტრში შეადგოთ, რა მოუვა?

თამარ. გაისრისება!

სარდიონ. დიახ!.. გარდა ამისა, მე რომ მოვინდომო
კიდევ, სხვები ნებას არ მომცემენ: მსოფლიო წარმოდგე-
ნას მწყობრობას შევუშლი... გამაძეებენ, როგორც კინს
სცენიდან...

თამარ. ბედისგან ნარგუნია როლის მონები ვყოფილვართ!..

სარდიონ. სწორედ!.. ამას თქვენ თავზედაც კარგადა
ჰგრძნობთ!..

თამარ. როგორ?!..

სარდიონ. სიყვარულის გულისთვის თქვენს როლს
გადასცდით და...

თამარ. ვისგები?

სარდიონ. დიახ!

თამარ. ამ ტანჯვას მე სიამოვნებით ვიტან!

სარდიონ. აი ეგ სიტყვები კარგადა გაქვთ გაზეპირე-
ბული თქვენის როლიდან!

თამარ. მაშ თქვენ არა გჯერათ, რომ მე ყოველ გა-
ჭირებას სიამოვნებით ვიტან აჩილის გულისთვის?!..

სარდიონ. არა!.. თუმცა არჩილი ღირსაა მაგისთანა
მსხვერპლისა!..

თამარ. თქვენ არ გამოკიდით სიყვარულის ძალა!..

სარდიონ. სიყვარულმა მკერდი ტყვიით გამახვრეტი-
ნა,—ხომ იცით, რომ ნოტიო ამინდში მარცხენა მკლავს
ვერა ვხმარობ... სიყვარულმა ათასი თუნუნი ყაღვი ვეჭილი
შიმატებინა მამი ჩემის სახელით, რამაც სირცხვილის მეხი
დაცვა ამპარტავან მოხუცს!.. სიყვარულმა თითქმის მკვლე-
ლობის თანამოხიარე გამხადა, როცა ეს მკვლელობა ანთაყი-
სუფლებდა ჩემ სატრფოს!.. რვივე სიყვარული აქამდისაც
ქალურ ცრემლებსა მგერის მე ვაუკაცს, მაგრამ ჩემს ეხლან-
დელ გარემოებას მაინც არ გავცვლი იმ დროზე, როდესაც
ჩემი სატრფო განუშორებლად ჩემთან იყო!..

თამარ. მე არა მესმის რა!..

სარდიონ. არც საკვირველია... იცით ქ. თამარ: სიყ-
ვარულით ატაცებული დაიჩიქებდა წინ. მიკოცნიდა ხე-
ლებს და თან ნეტარების ცრემლები სდიოდა ღვაჭლებით,
მაგრამ ისე ჰქონდა გარყვნილი ქცევა, რომ ყველას ეარ-
შიყებოდა!.. ჩემის მხრით აქვიანობა არ შეიძლებოდა, მაგ-
რამ ყველა ოჩერს რაღაც იმედები ებადებოდა და მე ეს
ყელში სისხლსა მგვრიდა!.. ვეღარ გავუძელ... მივანებე თა-
ვი და გამოვიქეცი იტალიიდან!—ეს ამბავი იტალიაში შე-
ემთხვა...

თამარ. ეხლა?

სარდიონ. ეხლაც ისევე მიყვარს, როგორც ამ ექვსი
წლის წინად, მაგრამ ეხლანდელ ჩემს ცუდრობას იმ მწვა-

ვე ბედნიერებაზე არ გავცვლი!

თამარ. ავადმყოფი ყოფილა თქვენი იტალიელი ქალი
და თქვენი სიყვარულიც დაუსნეულებია.

სარდიონ. დიახ!.. სიყვარულის სნეულობა მრავალ-
გვარია, მაგრამ ჩვენ მალოოდ ი სნეულობას ვხედავთ, რომ-
ნელიც ჩვენსაში არ არის! (ზაჟა) თქვენი აღზღისა და
მშვენების ქალი და—კმაყოფილება ამ ძონძებში!.. მუდმივ
შრომაში, მოკლებული ყოველ სიამოვნებას ამ წუთი-სოფელ-
ში!.. ან რა გახდა ეს სიყვარული. აღარც შეცნირება,
აღარც ხელოვნება, აღარც საზოგადოებასთან ურთიერთობა,
აღარც ბუნების მშვენება, აღარც ჩვენი დროების სასწაულ-
მოქმედება!.. იცით, ქ. თამარ: როდესაც სიყვარულის შხამი
განსაკუთრებულის ძალით მომაწევა და მახრჩობს, მაშინვე
საზღვარ-გარეთისკენ ვაქეუსლავ ხოლქე!.. თვალ-გაღუწვდე-
ნელ ზღვის სივრცეში ინთქება ჩემი პაწაწა გრძობა და ჩე-
მი იტალიელი პატარა გველი!.. ზღაპრული ბოსფორი თა-
ვისი სტამბოლით, გმირთა აჩრდილთა ბუდე—ათონი, ოცნე-
ბა ნეაპოლი, მძლავრი რომი, დაუღვეარი ზვირთი მსოფლიო
სინათლისა და გარყვნილებისა—პარიზი და ესე—ბუნების
და კულტურის ძალთა შეერთებული ზღაპარი მავიწყებს ჩემს
პატარა ტანჯვას!.. (ზაჟა).

თამარ. (ზაჟაქრებუდი). თქვენ არჩილი მეგობრად მი-
გაჩნიათ?

სარდიონ. დიახ!

თამარ. შეიძლება გადავცე ეს ჩვენი ბაასი?

სარდიონ. (უნებხუფად ჰკმხობს თავს)... ჩემის აზრით,
არა ღირს...

თამარ. რატომ?

სარდიონ. ზედ-მეტ ტანჯვას მიაყენებთ!

თამარ. თქვენ-კი სრულებით... არ შეგრცხვებათ თქვე-
ნი მეგობრისა?

სარდიონ. ... არა!.. ბოდიშს ვახდი, ქ. თამარ. მეტი
მომივიდა!.. თქვენმა შეუწყნარებელმა გარემოებამ წრფელი
გრძობა :ღიძრა და ამალაპარაკა... დაივიწყეთ ჩემი ნათქვა-
მი!.. აი საქმე რაშია: გნებავთ სამსახური რკინის გზის სამ-
მართველოში, ჩემ ხელ-ქვეით?.. დღეში სამი საათი მარტი-
ვი შრომა და ოთხი თუმანი ჯამაგირი.

თამარ. თუ-კი შევიძლებ...

სარდიონ. საქნელო არაფერია!.. გარდა ჯამაგირისა,
თვეური საჩუქარი თითქმის მაგდენივე და მუქთი ბილეთი
ყველა რკინის გზებზე.

თამარ. ეგ მეტად დიდი ჯილდო გამოდის!

სარდიონ. ხაზინა ასე იძლევა... მხოლოდ ერთი პირო-
ბა: ჯამაგირს გარდა საჩუქარზე არჩილმა არაფერი არ უნდა
იცოდეს!..

თამარ. რატომ?

სარდიონ. არის მიზეზი... მერე შეიტყობთ... რას
იტყვით?

თამარ. არ ვიცა... ასე მგონია, მაგ... საიდუმლოე-
ბით...

სარდიონ. სამწუხაროდ ეგ პირობა აუცილებელია!..
გარწმუნებთ, მიზეზი სულ უბრალოა და არც მეგობრობის
დალატად ჩაითვლება, როგორც შეიტყობთ შემდეგ...

(კარებს აკაკუნებენ)

ნ. შიუკაშვილი.

(შემდეგი იქნება).

